დამატება № 1

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2013 წლის 30 დეკემბრის № GOG/D/CW/1931/025/2013 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ.თბილისი 3 " მარტი 2014წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მ-ნი ელგუჯა ხოკრიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „კავკასავტომაგისტრალი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მ-ნი ვიქტორ მარშანიას სახით,

ვითვალისწინებთ რა, მიმწოდებლის 2014 წლის 21 თებერვლის N27 წერილით წარმოდგენილ გარემოებას, გორის მუნიციპალიტეტში (სოფ. ორმოცი) 0.92 კმ სატყეო გზის მოწყობის დასრულების ვადის გაზრდასთან დაკავშირებით, რაც დასტურდება სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის გორის სატყეო უფროსის კ. გაზდელიანისა და ს/ს „კავკასავტომაგისტრალი"-ს დირექტორ გიორგი რობაქიძის მიერ 2014 წლის 10 თებერვალს შედგენილი აქტითა და 2013 წლის 30 დეკემბრის № GOG/D/CW/1931/025/2013 ხელშეკრულებით განსაზღვრული პროექტზე ზედამხედველი და პროექტზე პასუხისმგებელი პირის გოგი სესიაშვილის 2014 წლის 28 თებერვლის N664-მ მოხსენებითი ბარათით, ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას შემდეგზე:

2013 წლის 30 დეკემბრის № GOG/D/CW/1931/025/2013 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1.შევიდეს ცვლილება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების „კონტრაქტის ზოგადი პირობები 2.1.1"; „კონტრაქტის ზოგადი პირობები 8.2" **და** „კონტრაქტის ზოგადი პირობები 8.3" პარაგრაფებში და განისაზღვროს ახალი რედაქციით."

კონტრაქტის ზოგადი პირობები 2.1.1	სამუშაოს დასრულების საბოლოო ვადა 2014 წლის 15 აპრილი.
კონტრაქტის ზოგადი პირობები 8.2	პროექტის ზედამხედველი არის: პროექტების მონიტორინგის სამსახურის სპეციალისტი გოგი სესიაშვილი
კონტრაქტის ზოგადი პირობები 8.3	პროექტზე პასუხისმგებელ პირი არის: პროექტების მონიტორინგის სამსახურის სპეციალისტი გოგი სესიაშვილი

2. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩეს უცვლელად

წინამდებარე დამატება წარმოადგენს 2013 წლის 30 დეკემბრის № GOG/D/CW/1931/025/2013 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. იგი შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ საქართველოს	ს/ს „კავკასავტომაგისტრალი"
მუნიციპალური განვითარების ფონდი	
ელგუჯა ხოკრიშვილი	ვიქტორ მარშანია
აღმასრულებელი დირექტორი	გენერალური დირექტორი

664-8-3-201402281717

N 664-8 28/02/2014

საქართველოს მუნიციპალური განვითარების

ფონდის აღმასრულებელი დირექტორის

მოადგილეს, ბატონ თორნიკე თორაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ობიექტი:	ქ. გორში 1.3 კმ სიგრძის სატყეო გზის მოწყობა
კონტრაქტის №	GOG/D/CW/1931/025/2013
კონტრაქტორი:	ს.ს „კავკასავტომაგისტრალი“
ღირებულება:	78,033.21 ლარი
სამუშაოთა დასრულება:	28 თებერვალი 2014 წელი.

ამა წლის 21 თებერვალს ს.ს „კავკასავტომაგისტრალისაგან“ შემოვიდა წერილი, რომლითაც მოთხოვნილია სამშენებლო სამუშაოების ვადის გადაწევა 2014 წლის 15 აპრილამდე.

მოთხოვნა განპირობებულია დიდი რაოდენობის ნალექების, კერძოდ თოვლის მოსვლის გამო, რის შედეგადაც შეუძლებელი გახდა მექანიზმების მუშაობა.

გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას აღნიშნული ცვლილების განხორციელებაზე.

დანართი: 1. წერილი N27 21.02.2014წ. (ს.ს „კავკასავტომაგისტრალი“)

2. აქტი 10.02.2014წ.

გოგი სესიაშვილი

სპეციალისტი

აღმ. საქართველოს მონიტორინგის სამს.

აქტი

გორი 10 თებერვალი 2014 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ სსპ სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის გორის სატყეო უბნის უფროსი კ. გაზდელიანი და მეორე მხრივ სს "კავკასავტომაგისტრალის" დირექტორი გიორგი რობაქიძე ვადგენთ აქტს მასზე, რომ სს "კავკასავტომაგისტრალს" ხელშეკრულების თანახმად (ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № GOG/D/CW/1931/025/2013 სატყეო გზის მოწყობა გორის რაიონში) უნდა დაემთავრებინა სამუშაოები 2014 წლის 01 მარტამდე. იმის გამო, რომ გასულ წელთან შედარებით იანვრის თვეში მოვიდა ნალექების დიდი რაოდენობა, სამუშაოების დასრულება შეუძლებელი გახდა.

სამუშაოების დასრულებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ვადის გაგრძელება.

1 კ. გაზდელიანი (ტელ. 595 00 60 26)

2 გ. რობაქიძე